№ 11 16 იანვარი, სამშაბათი 1866—1879 16 იანვარი, სამშაბათი № 11

# დროება

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ვ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., [illegible] სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდი გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ 1879 წელს გაზეთი

„დროება“

გამოვა მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამმით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

ხელის-მოწერა

თფილისში მიიღება რედაქციაში, ბაღის ქუჩაზე ვ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესსით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты* „Дроэба“.

გაზეთის ფასი

მთელის წლისა — — 8 მან.
ექვსის თვისა — — — 5 მან.
სამის თვისა — — — 3 „
ერთის თვისა — — — 1 „

მხოლოდ ამ ვადებით შეიძლება გაზეთის დაბარება.

ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი.

## რედაქციისაგან

ზოგიერთი ჩვენი ხელის-მომწერლები, წინა წლების მიხედვით, წელსაც ნახევარი წლის ფულს 4 მანეთს და 4 მანეთსა და ათ შაურს იგზავნებიან და არა ხუთ მანეთს, როგორც რამდენჯერმე იყო გამოცხადებული და ახლაც ვაცხადებთ ხოლმე გაზეთში.

საჭიროდ ვრაცხთ ვაცნობოთ ამ გვარ ხელის-მომწერლებს, რომ ვისაც 4 მანეთი აქვს რედაქციაში შემოტანილი, იმათ მხოლოთ ამ წლის 1 ივნისამდინ მიუვათ გაზეთი და ვისაც 4 მან. და 50 კაპ., იმათ კი ივლისის 15 რიცხვამდინ, თუ დანაკლისს ფულს არ შემოიტანენ.

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 18 იანვარს. დიდი კნეაგინა ანასტასია მიხაილის ასული დაინიშნა ყუბანის ყაზახის ჯარის ხოპერის პოლკის შეფათ. ჰერცოგი ფრიდრიხი მეკლენბურგ-შვერინისა დაინიშნა უიზლარი-გრებენის პოლკის შეფათ. დღეს საღამოს იმპერატორის საზამთრო სასახლეში იყო გამართული სადილი და შემდეგ ბალი.

## საქართველო

### პირველი კრება ქალაქის ახალი რჩევისა

გუშინწინ, კვირას; 14 იანვარს პირველად შეიკრიბნენ ქალაქის რჩევის სადგომში ახალი ხმოვანნი.

ამ პირველს სხდომაზე 72 ხმოვანში დაესწრო სულ 58 კაცი.

პირველ საათის ნახევარზე გაიხსნა სხდომა და ყველაზე პირველად ძველმა ქალაქის თავმა უფ. დ. ი. ყიფიანმა წარმოსთქვა მოკლე სიტყვა, რომლის აზრი იყო შემდეგი:

თქვენ იწყებთ ქალაქის სამსახურის და ჩემს თავს მოვალეთ ვრაცხ რამდენიმე სიტყვა გითხრათ, იქნება ჩემი გამოცდილება დაგეხმაროთ თქვენ თქვენ სთანამდებობის აღსრულებაში.

თქვენ ბევრი საქმე მოგელისთ, დიდი შრომა. ძველმა რჩევამ ქალაქისამ ვერ დაიმსახურა საზოგადო თანაგრძნობა. ყველგან: საზოგადოებაში, კლუბებში, გაზეთებში აცხადებდნენ იმაზე უკმაყოფილებას, ყველა ემდუროდა.

მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ეს საყვედური და უკმაყოფილება ყოველთვის საფუძვლიანი არ იყო. ამბობდნენ, მაგალითად, რომ ქუჩები ისე ტალახიანი არისო, რომ ადამიანი დაიღრჩევა ლაფშიო. ამბობდნენ, ქალაქი სრულებით არ არის განათებულიო, ერთმა ვილამაც კინაღამ შუბლი მიარტყა ფანრის ბოძსა ისეთი სიბნელეა ქუჩებშიო. ამბობდნენ, ქალაქის ხაზინა ცუდს მდგომარეობაში არისო, ყურის მგდებელი არავინა ჰყავს ბაზარსაო, ქალაქის შემოსავალი თან-დათან ჰკლებულობსო და სხვ. და სხვ.

ყველა ეს ერთობ გადაჭარბებული საყივარია.

მაგრამ საფუძვლიანი რამეებიც ისმოდა და იწერებოდა. და ეს საფუძვლიანი საყვედური ის გახლავთ, რომ ხმოვანები ერთობ გულ-გრილად, ერთობ დაუდევ-

## ფელეტონი

### როგორი აღზდა გვეჭირება ჩვენ?

(ვუძღვნი ჩვენ მშობლებს)

ავიღოთ მეორე შემთხვევა. ერთ პატარა ქალზე ყოველთვის ჩიოდნენ, რომ იგი მუდამ იგვიანებს, როდესაც მთელი სახლობა ეწვევა სადილად ანუ სხვაგან სადმე წასასვლელად. იგი ცოცხალი ხასიათის ქალი იყო და გატაცებული რამე საქმით თუ ფიქრით, მრავალჯერ სრულიად არ ფიქრობდა მაშინ ჩაცმა ანუ მომზადებულიყო, როდესაც დანარჩენი მისი დები და ძმები ემზადებოდნენ. დედას და და-ძმებს თითქმის ყოველთვის უნდა ელოდათ თავისი დისთვის და ამ შემთხვევაში დამნაშავე მიიღებდა ხოლმე დედისაგან მხოლოდ ერთგვარ საყვედურს, სამდურავს.

ყველა ცხადათ ჰხედავს, რომ დედა ამ შემთხვევაში ბუნების და ცხოვრების თანხმად არ იქცეოდა. დედას ერთხელაც არ მოსვლია ფიქრათ დაესაჯა ეს თავისი ქალი ბუნებითი დასჯით, ე. ი. თუ იგი ქალი მზათ არ არის თავის დროზე, იგი უნდა დარჩეს სახლში და ამ გვარად მოაკლდეს სეირნობას. ამას შემდეგ, როდესაც ქალს მოუხდებოდა ორჯერ-სამჯერ ამ გვარად სახლში დარჩომა, მაშინ როდესაც დანარჩენი მისი დები და ძმები თამაშობენ მინდორზე და როდესაც ამით გაიგებს, რომ ამის შინ დარჩომის მიზეზი ერთად-ერთი მიზეზი ყოფილა,—მისივე დაგვიანება, იგი უთუოთ მალე მოიქცევა. რაც უნდა იყოს ეს სასჯელი უმჯობესი და უფრო სამართლიანი მოპყრობა იქნება, ვიდრე ნიადაგ-მოუწყვეტელი ჯავრიანობა და ლანძღვა, რომელიც დასასრულად ჰბადავს უგრძნობელობას. აი ბავშვები თავისი დაუდევნელობით და გაუგებრობით ანუ ჰკარგავენ ნაჩუქ და ნაყიდ ნივთებსა, ანუ ამტვრევენ და უმიზეზოთ აფუჭებენ. აქ ყველაზე უკეთესი სასჯელი ის იქნებოდა, რომელიც ასე აფრთხილებს და აზრუნებს დიდებს, ე. ი. ხელმეორეთ არ ყიდვა ამ ნივთისა. ჩვენი მამები და მოწყალე ნათესავები ასე არ იქცევიან: იგინი, დაჰკარგავენ პატარები თუ არა რამე ნივთს, ანუ უბრალოდ გააფუჭებენ, მაშინვე ახალს უყიდიან ხოლმე, მაშინ როდესაც ამ შემთხვევაში მამა, თუ ვინც უნდა იყოს, სხვანაირად უნდა მოიქცეს: მამამ უნდა აულსნას ამ გვარს შვილს, რომ დანაში ფულია მიცემული და რომ ფულის საშოვნელად საჭიროა შრომა; რომ იგი ვერ უყიდის დანას იმ გვარ ყმაწვილს, რომელიც ჰკარგავს ანუ აფუჭებს. და ამის შემდეგ მართლაც და იმ დრომდე არ უნდა უყიდოს, ვიდრე თავის შვილში არ შეჰნიშნავს მომეტებულს მზრუნველობას და გაფრთხილებას.

ამ გვარის დასჯის ხმარება იმით არის

რად ასრულებდნენ თავიანთს თანამდებობას.

მაგრამ რაც უნდა იყოს, ამგვარი გაუწყნარებელი ჩივილი და უკმაყოფილება ქალაქის თვით-მმართველობაზედ მავნებელია, არა თუ მარტო ქალაქის თვით-მმართველობისათვის, არამედ მთელი ჩვენი მხრისთვის... მავნებელია მით უფრო, რომ ჩვენი ქალაქის გამგეობა მართლა ისეთი ცუდი არ არის, ის ბევრ რუსის ქალაქების გამგეობას არ ჩამოუდგება უკან.

ე იყო საზოგადო აზრი უფ. ქალაქის თავის სიტყვისა, რომლის შემდეგ უეცრად წამოდგა ხმოვანი უფ. გ. იზმიროვი, სთქვა, რომ ადრე საქმისა და პრაქტიკის კაცები იყვნენ ქალაქის გამგებელნიო, მაგ ჩემმა და უფ. ფრიდონოვმა, ადრინდელ ქალაქის თავებმა, დიდი და უანგარიშო სარგებლობა მოუტანეს ქალაქსაო, და ახლანდელი გამგეობა და რჩევა კი მეცნიერებისაგან (?) შესდგებაო და ამის გამოც ამათი მოქმედება ნოლს (არაფერს) უდრისო და სხვ. და სხვ. და რადგან ასეაო, მე ვანებებ თავს ხმოვანობასაო და გთხოვთ განმათავისუფლოთ ჩემის მოვალეობისაგანაო.

ე თქვა და დამზადებული ქაღალდი, დათხოვნის თაობაზედ, დაუდვა წინ სტოლზე ქალაქის თავს და გავიდა გარეთ.

იქნება უფ. გ. იზმიროვის სიტყვებში ზოგიერთი ჭეშმარიტება იყოს, მაგრამ ისე უხეიროთ გამოსთქვა თავის აზრი და ისე უდროვოთ, რომ რჩევაში სიცილი ატყდა და იმის სიტყვებს კაცმა ყურადღება არ მიაქცია.

ამის შემდეგ ხმოვანებმა მიიღეს ფიცი თავ-თავის სარწმუნოების წესით.

პირველი საგანი, რომელზედაც ჩამოვარდა ლაპარაკი ნამდვილი სხდომის დაწყების შემდეგ, იყო უფ. არ. არ. ხ ა რ ა ზ ო ვ ი ს წინადადება, რომ ჯერ ჯამაგირი დაენიშნათ ქალაქის თავსო და მერე იმის არჩევას შეუდგეთო. ამ წინადადებას მოჰყვა რამდენიმე სხვა ახალი წინადადება: უფ. ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ი ს ა — რომ ჯერ უნდა დავადგინოთ სისტემა, პროგრამმა ჩვენი გამგეობისაო და მერე შეუდგეთ ქალაქის თავის არჩევასაო; — უფ. გ. ე ვ ა ნ გ ე ლ ო ვ ი ს ა, რომელმაც სთქვა, რომ ჯერ გამგეობა უნდა შევადგინოთ, ახალი თავი უნდა ავირჩიოთ და მხოლოთ მერე გვექნება უფლება რაზედმე ვილაპარაკოთო; თ. ნ. ა მ ა ტ უ ნ ი ს ა, რომელიც ამბობდა, ერთი კვირის ვადა მოგვეცით, რომ მოვიფიქროთ და მერე უყაროთ კენჭი კანდიდატებსაო და სხვ. ამ გვარივე აზრი წარმოსთქვა თ. ალ. ჩოლაყაშვილმაც.

ბოლოს რჩევამ, ხმის უმეტესობით გადაწყვიტა, რომ ჯერ დანიშნოს ჯამაგირი ახალი თავისათვის და მომავალ კვირას შეიყარნენ კიდევ თვით თავის ასარჩევად. კენჭის ყრით გადაწყდა, რომ ქალაქის მომავალ თავს შვიდასი თუმანი ჯამაგირი უნდა ექნეს წელიწადში.

ამით გათავდა სხდომა, რომელიც ნაშუადღევის 3 საათზე დაიხურა.

---

## დღიური

*** ოდესსიდამ გვწერენ, რომ სამხრეთ რუსეთის მეურნეობის საზოგადოებას, რომლის წევრნი იყვნენ ამ ქალაქში შეკრებილნი, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დეპუტატის თ. ზ. ჯორჯაძის წინადადებით, გარდაუწყვეტიათ სთხოვონ უმაღლესს მთავრობას, რომ კავკაზიაში გაიმართოს ისეთი შკოლა, რომელშიაც ღვინის კეთება ასწავლონ, შეუმსუბუქონ ხალხს არაყის აქციზი და სხვ.

ამავე საგნის შესახებ გაზ. „კავკაზში“ იწერებიან, რომ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას მოუსმენია თ. ზ. ჯორჯაძის მოხსენება ოდესსიდამ დაბრუნების შემდეგ და მადლობა გარდაუხდია იმისთვის, რომ რიგიანად შეასრულეთ საზოგადოების მინდობილებაო.

*** ზევით, ამ ნომერში, არის მოხსენებული, რომ ჩვენი ქალაქის თავის არჩევანი, მომავალის [illegible] შნა. უჩიგო არ იქნება, რომ, ყველამ ერთად თუ არა, დასაფასებათ მაინც შეიკრიბნენ რამდენიმე ხმოვანი ერთად, მოილაპარაკონ, გარდაწყვიტონ — თუ ვინ ამოირჩიონ ქალაქის თავად და მერე ამნაირად მომზადებულნი და თავის კანდიდატით მოვიდნენ კრებაში.

რამდენათაც ჩვენ ვიცით, სულ სამიოთხი კაცია კანდიდატი; ამათ ძი ამორჩევა ძნელი არ არის, თუ კი ხმოვანებს ერთმანეთში „სმენა და გაგონება„ ექნებათ და ერთი ტყისა და მეორე ბარისაკენ არ მოინდომებს გაწევას. არ უნდა დაივიწყოთ ხმოვანებმა, რომ ეს საზოგადო საქმეა და ამ შემთხვევაში რაც შეიძლება მომეტებული წინ-დახედულობა მმართებსთ და წვრიმალი თავ-მოყვარეობის დავიწყება.

*** ჩვენ მივიღეთ ფოთიდამ შემდეგი შენიშნვა:

„ამ რამდენიმე წლის წინათ ერთი სომეხი კაცი, სახელად პაქი არუთინა, სათათრეთში ჩავარდნილა თათრების ხელში.

„ამისათვის უთქვამთ: გინდ გათათრდიო და გინდ თავს მოგჭრითო. ბევრნაირად ცდილა, რომ ორივე თავიდან აეშორებინა, ხოლო ვერ გადარჩენოდა ამისთანა უბედურებასა. ბოლოს თავის მოკვლას ისევ გათათრება ურჩევია, მიუღია თათრის სარწმუნოება.

„ამისთვის შემდეგ მაშინვე შეურთავთ თათრის ქალი; მისცემია სამი შვილი; ორი ქალი ერთიც ვაჟი.

„ეს კაცი დღემდის ყოფილა სათათრეთში თათრების ხელში. ამ რამდენიმე დღის წინათ, თათრებისაგან თავი დაუხწევია და მოსულა ცოლ-შვილით ბათუმში, რომ ისევ თავისი სარწმუნოება მიიღოს და შვილებს თუ ცოლსაც მიაღებინოს. ეს საქმე თათრებს გაუგიათ, რამდენჯერმე ბეგებს დაუბარებიათ, ის თქვენ იცით—რისთვისაც; ხოლო სრულებით ახლო აღარ მიჰკარებია. ბოლოს

---

კიდევ სასარგებლო და ნაყოფიერი, რომ ბავშვში ჰბადავს ნამდვილს ცნობას მიზეზისა და შედეგისა. ბავშვი, რომელიც ამ გვარი ბუნებითი დასჯის მაგიერად, ჰხედავდა მხოლოდ შეუსაბამე და უადგილო ხელოვნურ სასჯელს, (ცემას, საყვედურს, მუქარას, საჩუქარს და სხვ.), არა თუ ჰხედავს ნამდვილ შედეგს თვისი დანაშაულობისას, უწესოებისას, არამედ ვერც კი გაუგია და ვერც მიმხვდარა, რომელი ყოფა-ქცევა უფრო კარგია, რომელი უფრო ცუდი და მავნებელია. მაშ რითი ავღსნათ ის მოვლინება, რომ მასწავლებლების და მშობლების ხელიდამ დაღსნის შემდეგ ახალგაზდები მრავალ უკანონო და უაზრო საქმეს იდენენ, თუ არ იმით, რომ იგინი შედეგათ თავიანთი ცუდი ყოფა-ქცევისა ჰხედავდნენ მხოლოდ მშობლების თუ უფროსების უკმაყოფილებას და სხვა სასჯელს? ახლა, როდესაც იგინი განთავისუფლდნენ მით ხელიდამ, როდესაც მათ ალ-რავინა ჰყავთ დამშლელი და ზედამხედველი, რისგან უნდა ეშინოდესთ? ნამდვილ სასჯელს თავისი უკუღმართი ქცევისა და ცხოვრებისა იგინი მხოლოდ ეხლა იხილავენ!

აი რასა ჰსწერს ერთი პედაგოგი ამის შესახებ:

„ახალგაზდები, რომლებზედაც ცოტა გავლენა აქვთ მშობლებს, შკოლიდამ გამოსვლის შემდეგ, ახდენენ ყოველგვარ უგუნურებას; ამათ არ იციან არავითარი კანონი ყოფა-ქცევისა, ამათ არ იციან საფუძვლები ზნეობისა, ამათ არა აქვთ საძირკველი, რაზედაც შეეძლოთ დაამყარონ თავიანთი ყოფა-ქცევა, და ვიდრე თვით ცხოვრება კარგათ არ შეჰსტუქსავს, მინამ იგინი იქმნებიან მავნე მწევრები საზოგადოებისა.“

ზოგიერთი პედაგოლები თავიანთი მოკლე ჭკუით სრულიად უარს ჰყოფენ მოწაფეებას ხალხში, საზოგადოებაში გასვლისას და ამის გამო დაკეტილი ოთახებში და ეზოებში ინახვენ მათ. სრულიად მართალია, რომ ცხოვრებაში შეჰხვდებით მრავალ უზნეობას, მრავალ ბოროტებას და საძაგლობას, რომლისაგან ჩვენ მოვალენი ვართ დავიცვათ ჭაბუკნი. მაგრამ აქ საქმე იმაშია, როგორ უნდა მოხდეს ეს? ცუდია თუ არა, ბავშვების ბოროტობისაგან დაღსნისათვის, დავკეტოთ იგინი? ადრე თუ გვიან დაკეტილი კარები შკოლისა ხომ უნდა გაიღნენ და გაიღნენ და მოწაფენიც იხილავენ ბოროტს და კეთილს ისე, როგორც იგინი ნამდვილათ არსებობენ ამ ნათელ ქვეყანაზე?! ის წესი ცხოვრებისა, რომელსაც იგინი შეეჩვივნენ სასწავლებელში, იქნება სრულიად მოუხმარებელი ყოველ-დღიურ ცხოვრებაში და მოუნდებათ შეეჩვივნენ ახალ წესსა, კეთილის ბოროტისაგან გარჩევისა!

ეს გადასვლა წმინდა იდეალური შკოლის ცხოვრებიდამ ყოველ-დღიურ ცხოვრებაში, რომელიც სავსეა ათას-გვარი და

გაუგიათ ქრისტიანებს და უპატიებიათ ეს კაცი. ფოთისაკენ გამოუსტუმრებიათ, თანაც გამოჰყოლია ერთი ვართაპეტი, რომელმანც წუხელის ყველანი, ესე იგი ცოლით თუ შვილებითა, მონათლა თავის ძველს რჯულზედ აქაურს სომხის ეკკლესიაში. ფოთის პატარა სომხის ეკკლესია გავსებული იყო ყოველი ქრისტიანთ სარწმუნოების ხალხითა. ახლად მონათლულებს ფულიც მოუკრივდა ეკკლესიაში, ვიდრე ხუთ თუმნამდის.“

ე. ბ.

*** გაზეთს „ოპზორში“ იწერებიან ფოთიდამვე, რომ იქაურ მცხოვრებლებს ამოურჩევიათ კომისია, რომლისთვისაც მიუნდვიათ მთავრობის წინაშე იშუამდგომლონ, რომ რაიმე საზღვეველი მიეცესთ იმ ფოთის მცხოვრებლებს, რომელთაც გასული ომიანობის დროს, როცა ისინი იძულებული იყვნენ თავიანთი სახლ-კარი და მაღაზიები მიეტოვებინათ, ზიანი მიეცათ.

---

## წერილი ხევსურეთიდამ

აპ იანვრის 3-სა დავესწარ სოფელ ღულში შემდეგ შემთხვევას:

ერთი განმარტოებული სახლის წინ გროვდებოდა ხალხი და ისმოდა რალაცა ყაჩყაჩი. ყველა იქ მდგომი ხევსურის თვალები იყო მიქცეული ერთ დედაკაცზედ, რომელიც მაღალი ხმით იძახოდა ხალხის გასაგონებლად:

— „აი, აი, აი ვერ ხედავთა, მოვიდა სუმბატაივ! სუმბატაივ! სუმბატაივ! აღარ ვორა ცოცხალიივ, ქვე-მოვკვდივ, ჩემ ხენივ, ჩემ იარაღივ, ათ თუმან ფულ მქონდავ, ხუთის თუმნისავ ქამა-ხანჯარივ, უსულ თოფივ, უსულ წუღანივ, ჩემ ამხანაგთ წამაიტან ესავ აიმას ქვმაუარეთ, ნუღარ გაქვისთავ ჩემის მოსვლის იმედი. მე ველარ მოაღავ, აღარ ვორავ ცოცხალივ!“

რა გაათავა ეს სიტყვები, იმწამსვე მიიღო რაღაც ცბიერი სახე და წარმოსდგა ხალხის წინ გაშლილი ხელით, რომელზედაც ეყარა ბურნუთი, და ხელის ქნევით იმეორებდა ისევ იმ სიტყვებს:

„—აი, აი, ვერც ახლა ხედავთა სუმბატასავ? ემაჩი ასავ სუმბატაივ, ვერ ხედავთავ? აჰ, ჰაჰ! აი, აი, ემაჩი ჰყუდავ სუმბატაივ..“

აძ დროს გადააბნია ბურნუთი და მაღალი ხმით დაიძახა:

„—ვერც ახლა ხენავთა სუმბატასავ?!... ხელზედ ხელ დამკრა სუმბატამავ. ბურნუთ ქვე დამაფანტვინავ!...

აქ, რასაკვირველია, მკითხველი ვერ გაიგებს ამ სუმბატას, რომელზედაც აქ ჩვენი ქადაგი ლაპარაკობს და ამისთვის საჭიროდ ვრაცხ ვსთქვა რამდენიმე სიტყვა მის პიროვნების შესახებ:

სუმბატა არის ხევსური სოფელ ღულიდამ, გვარად ქისტაური, რომელიც წავიდა ვოლონტერად. ამისთვისაც დავარდა ხმა ხევსურეთში, მითომც სუმბატა მომკვდარიყოს და ამისთვის ყოველ ღონის-ძიებას ხმარობს ჩვენი ქადაგი, რო გაუმხნეოს მასპინძელს გული და უფრო ბევრი დაახარჯვინოს უ-მისოთაც სიღარიბისგან დაჩაგრულს ხევსურს...

მესამეს დღეს მქონდა შემთხვევა გავლისა სოფელი ღულზედ და მაშინაც რაღაცა ხმაურობამ და ყაჩყაჩმა მიიქცია ჩემი ყურადღება. ვნახე, რომ ერთი იფნის ხეებით მოსილ მდელოზედ, ნანგრევი ყორეების წინ, გროვდებოდა ხალხი. მეც, როგორც მსურველი რაიმე ახალი ამბისა, შევერიცხე მათში და მივაქციე ყურადღება მათ ლაპარაკსა.

ამ დროს დავინახე მათ შუაში მდგომი მამასახლისი იმედა ქისტაური, რომელიც უკითხავდა ხალხს რაღაც თიონეთის უეზდის ნაჩალნიკის განცხადებას, რომელშიაც გარდა სოფლის საქმეების შესახებ იყო ნათქომი სუმბატაზედ, რომ ცოცხალი არისო და მისი ცოლ-შვილი ნურაფერს იზრუნებსო.. რა საკვირველია, ამ ამბის გაგონებამ მოიყვანა მთელი ხევსურები დიდს აღელვებაში იყვნენ. მამასახლისმა დაუწყო მათ ლაპარაკი:

— არ გცხვენიანთა, ხევსურნო, არც ეხლა გამტყუვნდებითავ ეო!.. არ ასა სირცხვილი, ხევსურნო, როსნამდინ ქვე არა დაიჯეროთ-რაო? ვერც ეხლა გაიგეთა, რო მკითხავ, ქადაგებსა ქვე უტყუებივართო? ხოშაქამავ, ნანამავ *) რო იქადაგეს, აღარ არ ნთელი სუმბატაივ! ეხლა ხო შეიტყეთ, ერო, ცოცხალ ყოფილა სუმბატაივ?! სამასხო ტყუილა ამუშავებინესავ, დალუპესაც იმის ცოლშვილივ, რამდვენ ხარჯ ქვე აქნეინესავ?!

— იმედაო! შენ მაინც ნუ ამბობ მაგასავ, თავის რჯულ ქვე არ უნდა გადაავდოსა კაცმავ!

მიუგო მას ხალხმა. ამ დროს გამოვიდა ხალხიდგან ერთი ახალგაზდა ხევსური. მისი შეხედულება ამტკიცებდა გამჭრიახობას და მასთან სიმამაცესაც და დაიწყო ლაპარაკი, რომელსაც ეტყობოდა თანაუგრძნობდენ ყველანი:

— ღმერთის მა, არ სტყუისავ მამასახლისივ, მართალს ქვე ამბობს იმედავ! ე მაგას შატყობა უნდა რის სამთავროჩივავ, თუ მართლა ცოცხალ ას სუმბატაივ, თითო გალ **) ავიტანათავ გამოვრეხვნეთავ ეგენივ, ჩავლორლნეთავ!... მაგათაგან აღარ არ გასაძლისი ხევსურეთშიგავ: ძროხასავ ხბო აღარ შერჩავ, ცხვარს ბატკან აღარ შარჩავ, თხას თიკანივ.. ყველ-ერბოვ ტაბლის კეთებას მოუნდავ, პური ლუდის დუღებასავ..

„ეს ღმერთს უნდარ ისავ, ეს ხატსავ, ეს კიდევ სულსაო!“ ჩვენ კი აღარ ვართ, დავტიტვლდით, დავშიშვლდით, ძაღლათაც აღარ ვინა გვთვლისავ.“

— ძალიან კარგ იქნებავ ეგევ, და ძალიან მძიმე ტვირთის მოხდა იქნება ხევსურეთისადავ!“—მიუგო ხალხმა ერთის ხმით...

ლ. რაზ—ვი

*) ქადაგების სახელები.
**) კეტი.

---

ზოგჯერ გამოუთქმელი უზნეო მოვლინებებით, იქნება ძლიერ და ძლიერ მკვეთარი.

ამის გარდა წარმოვიდგინოთ, რომ შკოლაში ყოველთვის ასწავლიან შაგირდებს, რომ ცხოვრებაში ბევრი ბოროტება სუფევს, აუწერენ ამ ბოროტებას ათას-გვარი საძაგელი და მავნე მხრით, აუწერენ ყოველ მის დამღუპავ შედეგებს და სხვ...; მაგრამ არ შეიძლება არ დამეთანხმეთ, რომ ამათ ჩვენ ბევრს ვერასფერს მოვიგებთ, რადგანაც ეს მხოლოდ, მაინც და მაინც, სრულიად თეორია არის და არა პრაქტიკა.

ამიტომ ნუ დაკეტავთ მოწაფეებისაგან ყოველ-დღიურ ნამდვილ ცხოვრებას!

ასჯერ უმჯობესია აჩვენოთ ეს ცხოვრება ისე, როგორც იგი ნამდვილად არსებობს, მაგრამ ყოვლის ძალით ეცადენით აუხსნათ და მისცეთ მათ ჰსწორი შეხედულობა ყველა ცხოვრების მოვლინებზე და მათ ავ-კარგობაზე. ჩვენ უნდა ვეცადოთ, არა თუ დავმალოთ მოწაფეებისაგან საშიშროება და განსაცდელი ცხოვრებისა, არამედ გონიერად და თვალი-თვალ ამ ცხოვრებასთან მოვამზადოთ იგინი ამ განსაცდელების დასახვედრათ!

წარმოვიდგინოთ ყმაწვილი, რომელიც სრულიად ყურს არ უგდებს და არც ჰზოგავს თავის სამოსელსა, რომელიც დაურიდებლად ძვრება ეკლიან ღობეებზე, ჯაგებში, ანუ სრულიად არ ერიდება ლაფს თუ ამ გვარი დანაშაულობისათვის მას კარგათ მიარტყამენ, ანუ თუნდ ეს არ იყოს, უსაუზმოთ თუ უსადილოთ დატოვებენ, ვინ იტყვის, რომ იგი ამით დაწყნარდება? პირიქით: აქ შეიძლება საქმემ უარესად იწარმოოს: ყმაწვილი ამ სასჯელს ჩაჰსთვლის თავის შეურაცყოფათ და ამ გვარად სიკეთის მაგიერად დაიბადება ჯინება. უმჯობესია ამის მაგიერად დაუყოვნებლივ თვითონვე გაასწოროებინოთ წამხდარი საქმე, ე. ი. მეეცა გაიწმენდავს, მეეცა, როგორც შაუძლიან, ისე დაიკერავს დახეულს. ნუთუ ამ გვარი დასჯის შემდეგ იგი ვერ იგრძნობს თავისავე დანაშაულობას? ნუთუ იგი ვერ გაიგებს იმ კავშირს, რომელიც ამ შემთხვევაში სუფევს მის და მიზეზ შორის? ნუთუ იგი არ დაინახავს აქ მასწავლებლის თუ მშობლის მხრით სამართლიან განკარგულებას?

ყმაწვილმა გატეხა თვისი დის სათამაშო და ტირილით მიდის დედ-მამასთან. ახლა როგორ იქცევიან მამა თუ დედა ამ შემთგვევაში? იგინი ცემით თუ სხვანაირათ როგორმე ჰსჯიან ძმას, დისთვის კი თვითონ ყიდულობენ ახალს; ე. ი. ხელოვნურ სასჯელს იგინი ჰსდებენ დამნაშავეზე, ბუნებითს კი თვითონ იღებენ.

(დასასრული შემდეგ №-ში)

# განცხადებანი

## თფილისის პოლიციმეისტრისაგან

მე შემინიშნავს, რომ ვაჭრები და მოქალაქენი თავიანთ მაღაზიებ დამ, ეზოებიდამ, დუქნებიდამ და სახლებიდამ ისვრიან ხოლმე ნაგავს ქუჩაზე, რისგამოც ანაგვიანებენ ამ ქუჩებსა და ტროტუარებს.

რადგან ამ გვარი ქცევა მედუქნეებისა და სახლის პატრონებისა კანონის წინააღმდეგია და მავნებელი მცხოვრებლებისათვის, ამის გამო ვსთხოვ ამათ, რომ შემდეგში ნუ ჩაიდენენ ამ უწესოებასა; წინააღმდეგ შემთხვევაში, ვინც ამ მოთხოვნილებას არ აასრულებს, დევნილი იქნება კანონით და სასამართლოში გაგზავნილი დასასჯელად. თფილისი, 22 დეკემბერი 1878 წ.

უფროსი პოლიციმეისტერი
პოდპოლკოვნიკი მერკლინგი

---

ლექსები

## „სიყვარული“

შედგენილი ანტ. ჯუღელისაგან გამოვიდა და იყიდება თფილისში ჩარკვიანის, ვართანოვის, გრიქუროვის დასხვა წიგნის მაღაზიებში და „ივერიის“ რედაქციაში. სამეგრელოში დ. სუჯუნას, გ. თოფურიძის დუქანში და აბაშის სტანციაზე პ. მელიქოვის დუქანში, ზესტაფონს ჩუბინიძის და კოსტავას დუქანში.

ფასი ორი შაური. ოცს ეგზემპლიარს ვინც იყიდის ერთად, მას თითო ეგზემპლიარი დაეთმობა რვა კაპ. მეტს ვინც იყიდის იმას შვიდ კაპეიკათ.

---

დაიბეჭდა და იყიდება
საქართველოს

## კალენდარი

ფასი 20 კაპეიკი

შედგენილი ი. ლიაძისაგან და გამოცემული ექ. ხელაძისაგან.

თფილისში, ყველა წიგნების მაღაზიაში. გორში: ძმოიევის მაღაზიაში. ქუთაისში: კ. მესხის წიგნის მაღაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფოთში: ელისბარ გაბალოვთან, ოზურგეთში, გრიგოლ ჯინჭარაძის მაღაზიაში.—

ვინც 100 ეგზ. ერთათ გაიწერს, იმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთმობათ.—

იყიდება უ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

---

ვართანოვის წიგნის მაღაზიაში იყიდება:

**დედა-ენა**, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახალხო შკოლებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, მეოთხე შესწორებული გამოცემა. ფასი ექვსი შაური, ყდაში გადაკრული ცხრა შაური. თუ რომელიმე შკოლა იყიდის ერთათ ოც-და-ათ ეგზემპლიარსა, ან რომელიმე კერძო პირი ასსა, ეგზემპლიარი დაეთმობა უყდო ხუთ შაურათ, ყდიანი ორ აბაზათა.

**ბუნების კარი**, ანუ საკითხავი წიგნი, დაბალ კლასებში სახმარებელი, მესამე გამოცემა, შევსებული და შემკული სურათებით და საქართველოს კარტით; ფასი ხუთმეტი შაური. ეგზემპლიარი დაეთმობა თოთხმეტ შაურათ, ვინც ერთათ იყიდის თხუთმეტ ეგზემპლიარსა,—ცამეტ შაურათ, ვინც ერთათ წაიღებს ოც-და-ათ ეგზემპლიარსა და სამ აბაზათ ასი ეგზემპლიარის ერთათ მყიდველსა. ვისაც ჰსურს ყდაში გადაკრული ვიყიდოს, უნდა ამ ფასს დაუმატოს სამი შაური.

**საყმაწვილო კონა** პირველ დაწყებითი მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდგან, გამოცემა პირველი, ფასი ექვსი შაური.

**პატარა ბიბლიოთეკა**, პირველი წიგნი, შეიცავს სამს საყმაწვილო მოთხრობასა; ფასი ორი შაური.

აქვე იყიდება ყველა ქართული და რუსული სახელმძღვანელო წიგნები.

---


# РАСПРОДАЖА
## БЕЗЪ ЗАПРОСА.

По случаю прекращенія розничной торговли и открытія оптоваго склада, назначается **распродажа** по самымъ дешевымъ цѣнамъ, на 25% дешевле обыкновенныхъ цѣнъ, товаровъ: крепъ, ардаганъ, матласе, репсъ, фай, карсъ, круасе, кашемиръ черный отъ 75 к. до 2 р. 30 к., альпага черный отъ 35 к. до 75 к., шали суконныя отъ 3 р. 25 к. до 7 р. 35 к., ковры бархатные, тикъ холщевый, рубашки полотняныя, и т. п. Въ караван сараѣ Тамамшева, верхній этажъ, противъ гостиницы Кавказъ, №№ 10 и 11, магазинъ **Малакова**.

(50) 3—1. с. п.


---

| რკ. გზა. | დილ. | | საღ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . . | 9 | 21 | | 8 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | [illegible] | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . . | 11 | 5 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური . . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი . . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი . . . | 6 | 5 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი . . . | 9 | 5 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკ | 10 | 14 | | | 1 | 18 | - | 6 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . . | 12 | 13 | | | 3 | | 1 | 69 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამ. | | 3 | 90 | 2 | 21 |
| სურამ . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილის . . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვ, ოდესს, მოსკოვ | 2 | — |
| პეტერბურგ, ვარშავას . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში . | 3 | — |
| იტალია და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . | 3 | 75 |

**ფოშტა**

ა) თფილისიდამ: საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთ — ყოველ დღე კვირის გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.— პარასკ. და ორშ. ახალციხეს— სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისის და ფოთის კენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . | 4 |
| დახურულის (ლამი მისხალი) . | 8 |

| მაზანდა | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თფილისი, 15 იანვარს. | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ. | 1 | 65 |
| ფქვილი წითელი . . . | 1 | 45 |
| ქერი ფუთი . . . . . | 1 | 30 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | 50 |
| — ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 30 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 9 | 80 |
| მატყლი თუშური ფუთი | 7 | 50 |
| — თარაქამისა ფუთი . . | 4 | 70 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | 10 |
| ქონი, ფუთი . . . . . | 5 | 40 |
| მოხის სანთელი ფუთი . | 7 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 12 | 80 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 90 |
| —ცხვრისა, ლიტრა . . | — | 90 |
| სპირტი ვედრო . . . . | 4 | 60 |
| შაქარი, გროც. ფუთი . | 7 | 30 |
| —ფხვნილი ფუთი . . . | 6 | 40 |
| ყავა გრგვალი, გირვ. . | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი | 12 | 80 |
| თამბაქო, სოხუმლო ფთ. | 6 | 80 |

**თფილისის სამკურნალო.**

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდის.

**ორშაბათს:** ვერმიშევი და გალოლევიჩი—შინაგ. ავათ., ქრიუჩარიანცი—საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.

**სამშაბათს:** ვერმიშევი—შინაგ. ა. ბ ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეუნოვი—თვალის.

**ოთხშაბათი:** ვერმიშევი შინაგანი.

**ხუთშაბათს:** ვერმიშევი—შინაგ., ქრიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

**პარასკევს:** ვერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო ქალისა და ბავშვების.

**შაბათს:** ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 15 Генваря 1879 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.